27 სექტემბერს გაიმართა ევროპის საკლუბო ჩემპიონატების პირველი წრის განმეორებითი შეხვედრები, როგორც ცნობილია, ამ შეჯიბრებაში სსრ კავშირი პირველად მონაწილეობდა ასეთი დიდი წარმომადგენლობით– ოთხი გუნდით. მათგან სამმა მოიპოვა შემდგომ ეტაპზე მონაწილეობის უფლება და მხოლოდ ერთი გამოეთიშა მას. ეს ერთი თბილისის "დინამო" გამოდგა.

მდგომარეობა გართულდა უკვე მაშინ როცა ჰოლანდიის ქალაქ ენსხედეს "ტვენტესთან" შეხვედრაში დინამოელებმა საკუთარ მინდორზე ორი ბურთი გაუშვეს და გამარჯვებას ერთობ არასაიმედო ანგარიშით მიაღწიეს 3:2.

განმეორებით მატჩში ენსხედეში საჭირო იყო ძალების სრული დაძაბვით მთელი მონდომებით თამაში, მაგრამ დინამოელებმა ეს ვერ შეძლეს, დამარცხდნენ ანგარიშით 0:2. და უღიმღამოდ დაამთავრეს თავიანთი დებიუტი უეფა–ს თასის გათამაშებაში.

”ლელო” 30 სექტემბერი 1972 წ.